

ნოტარიუსთა პასუხისმგებლობის დაზღვევა

გვანცა ტურძილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გვანცა ტურძილაძე

03.07.2015

აბსტრაქტი

შესავალი: ნოტარიუსთა სამოქალაქო პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მსოფლიოში დაზღვევის ერთ-ერთი ძირითადი და გავრცელებული სახეა, თუმცა იგი ყველა ქვეყანაში სავალდებულო არ გახლავთ. საქართველოში დღეისათვის დაზღვევის ეს სახეობა სახელმწიფოს მონაწილეობით ვითარდება. წინამდებარე ნაშრომის თემაა ნოტარიუსთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დანიშნულება და არსი; ამ მხრივ უშუალოდ საქართველოში არსებული მდგომარეობა; თემის ფარგლებში მიმოხილული იქნება სავალდებულოობის პრინციპით დაზღვეულ ნოტარიუსთა შეხედულებანი და მათი დამოკიდებულება ამ დაზღვევის დანიშნულების, მისი შემოღების ფაქტისა და სავალდებულოობის მოთხოვნის მიმართ; აღწერილი იქნება მოცემული დაზღვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები; მოწოდებულ იქნება თავად სადაზღვევოს აზრი ამ პროდუქტის შემოღების მოტივის, მისგან გამომდინარე სარგებლისა და მოსალოდნელი რისკის ბალანსის შესახებ; გარდა ამისა განხილულ იქნება ნოტარიუსთა პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებით საღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა.

ნაშრომის მიზანი: ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის ანალიზი და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა, რათა გამოვლინდეს ამ დაზღვევის მნიშვნელობა სანოტარო საქმიანობის განვითარებისა და სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბების გაძლიერების მხრივ.

კვლევის ფარგლებში მოხდა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთაშორისო გამოცდილებისა და სხვადასხვა ქვეყნისათვის დამახასიათებელი მოდელების გაცნობა-თუ როგორ არის მათთან გადაწყვეტილი და რა სახითაა განხორციელებული ნოტარიუსთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

მეთოდოლოგია: ჩატარებული აღწერითი კვლევის ფარგლებში განხორციელდა სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა; თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა

ჩაღრმავებული ინტერვიუები ნოტარიუსებთან, ხოლო რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარა ინტერვიუები მოქალაქეებთან. კვლევის ორივე მეთოდის ფარგლებში კითხვარი შედგებოდა ღია და დახურული კითხვებისგან.

შედეგები: ამ კვლევითი ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში ნოტარიუსთა პროფესიული დაზღვევის მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი, რომელიც ნოტარიუსთა და მოქალაქეთა გამოკითხვისა, მზღვეველთა გამოკითხვის უშუალო მცდელობისა და მიღებული მასალების შეჯამების ფონზე წარიმართა. ზემოაღნიშნული წყაროებიდან ამოღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა ნოტარიუსთა საქმიანობის განვითარებისა და საზოგადოებრივ-სოციალური ყოფის წინსვლის საქმეში ამ ტიპის დაზღვევის დანიშნულების განსაზღვრა. გარდა ამისა, გამოიკვეთა ნოტარიუსთა დამოკიდებულებები საკუთარი სავალდებულო პროფესიული დაზღვევის მიმართ.

დისკუსია, რეკომენდაციები: ამ ეტაპზე სავალდებულო პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განვითარების შესახებ რეკომენდაციაა მზღვეველის მიერ მეტი ყურადღების გამოჩენა დამზღვევის შენიშვნებისა და მოსაზრებებისადმი, რათა სადაზღვევო კომპანიამ დაზღვევის პირობები უფრო მოქნილი და დამზოგველი გახადოს და ამით ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან და მოთხოვნად პროფესიათა განვითარებას, რაც ისევ სადაზღვევო გარემოს გაუმჯობესებასა და სადაზღვევო სექტორის საქმიანობის წინსვლასა და გაფართოებაზე აისახება.

დასკვნა: კვლევის შედეგებისა და თეორიული მასალების საფუძველზე შემუშავდა დასკვნა, რომ საქართველოში სავალდებულო დაზღვევა დადებითი მოვლენაა და იგი თითოეული მონაწილე მხარისათვის სასიკეთოა. მზღვეველთა შესახებ ეს მოსაზრება არსებულ რეალობაზე დაყრდნობითაა გადმოცემული. დასკვნა ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარეობს: გაძლიერდა ნდობა და პატივისცემა კონკრეტული პროფესიის ადამიანებისადმი, მოხდა ცივილიზებული საზოგადოებრივი ყოფის საკანონმდებლო გზით მოწესრიგების ხელშეწყობა.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს სრულ პროფესორს ბატონ თენგიზ ვერულავას, რომელმაც საკუთარი მოსაზრებებით რჩევებითა და რეკომენდაციებით უმნიშვნელოვანესი დახმარება გამიწია წინამდებარე ნაშრომის შექმნის პროცესში.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ მოქალაქესა და ნოტარიუსს, რომლებმაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა და ყველა იმ ადამიანს რომლებმაც კვლევის პროცესში არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი რჩევა მომცა.